GREEN CLIMATE FUND

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საინფორმაციო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

შვედეთი Sverige

UNDP

კლიმატის ელჩები „GEN G"

ახალგაზრდა „კლიმატის ელჩების“ ჯგუფი „GEN G” (Generation Green - მწვანე თაობა) მწვანე ბანაკში შეიქმნა, რომელიც გვაერთიანებს საქართველოს 7 მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს: ბათუმის, ქობულეთის, შუახევის, ონის, ცაგერის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებიდან.

ჩვენი პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდების საბაზისო ცოდნის შექმნა და ცნობიერების ამაღლება თითოეული მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელ საფრთხეზე, საგანგებო სიტუაციების მართვასა და მზაობის საკითხებში.

პროექტის ფარგლებში ჩვენ შევარჩიეთ 4 საფრთხე, რომლის მიმართაც მოწყვლადია თითოეული მუნიციპალიტეტი. ესენია: ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი და მიწისძვრა.

აქტივობები, რომლებიც წლის განმავლობაში უნდა განვახორციელოთ მოიცავს საინფორმაციო შეხვედრებს, მოხალისეთა ქსელის შექმნას სამიზნე მუნიციპალიტეტებში, თითოეული საფრთხის შესახებ საინფორმაციო მასალების მომზადებას, სკოლებში ეკო - კლუბების დაარსებას, ტრენინგების ჩატარებასა და ონლაინ სემინარებს მოსწავლეებისათვის მეტყევეების, მეხანძრეებისა და რეინჯერების ჩართულობით.